სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 83

ქ. თელავი **16 მაისი, 2023 წელი.**

ერთის მხრივ, **სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში ''შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მზია მაისურაძის** სახით და მეორეს მხრივ **სს ტრანსსერვისი** (შემდგომში ''მიმწოდებელი'') წარმოდგენილი **მისი დირექტორის ვასილ დათიშვილის** სახით (შემდგომში ''მიმწოდებელი''), ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის მერსედეს ბენცი ML 430-ის სახელმწიფო ნომრით CO 221 OC აირბალონიანი მოწყობილობების ტესტირების მომსახურეობის შესყიდვა.

1.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
1.3 შესყიდვის საფუძელი - მონეტარული ზღვრის დაცვით.
1.4 დაფინანსების წყარო - 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

CPV კოდი: 71631000 - მომსახურებები ტექნიკური შემოწმების სფეროში.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **130 (ას ოცდაათი) ლარს.** (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით).

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი მომსახურეობა.
3.2 მისამართი**: ქ.თელავი, თბილისის გზატკეცილი N 6.**
3.3 მომსახურეობის გაწევა განხორციელდება **მიმდინარე წლის 3 (სამი) დღის ვადაში.**
3.4 მიწოდებას თან უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

4. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
5.2 გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშორება.
5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურეობის მიწოდებიდან **10 (ათი) დღის ვადაში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული მომსახურეობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურეობის ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიიღოს მიწოდებული მომსახურეობა;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურეობა იქნება სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის;

7.2მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხო მომსახურეობის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

8.2იმსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

8.3ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; 10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.4მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 16 მაისიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 აგვისტომდე.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია საქართველოს კანონის - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ - მე-3 მუხლის მე3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის 1
ს.კ. 231187168
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგN/ სახაზინო კოდი : 200122900
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მზია მაისურაძე

მიმწოდებელი:
ს.ს. ტრანსსერვისი
ტელ: 599 368673
ს.კ. 231165761
E-mail: testirebatelavi@gmail.com
მისამართი:ქ.თელავი,თბილისის გზატკეცილი N 6.
მომსახურე ბანკი: სს ბანკი ქართუს თელავის სერვის ცენტრი.
ბანკის კოდი: CRTUGE 22
ანგN/: GE 10 CR 016 0000 9000 43607
დირექტორი
_____
ვასილ დათიშვილი

JSC „Transservis"
Digitally signed by JSC „Transservis"
Date: 2023.05.16 15:56:42 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სს ტრანსსერვისის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2023 წლის 16 მაისის N 83 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.